დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტის გეომედის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

[უსდ-ის ლოგო]

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე:ია, ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნათია ბურჯანაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ცოტნე სამადაშვილი, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი, საქართველო

ანა ბაცანკალაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2019

[1]**შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისშესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმებისმონიტორინგის დასკვნისრეზიუმე

ზოგადიინფორმაციადაწესებულებისშესახებ

სახელწოდება	სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	მეფე სოსლომონ II–ის ქუჩა #4, თბილისი, 0114, საქართველო
ვებ-გვერდი	https://geomedi.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული უსდ
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	20.11.2014, #30
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	17.12.2019

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	3
მაგისტრატურა	2
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	–
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	–
ქართულ ენაში მომზადების	–
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	8
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	–
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	–
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	–

სტუდენტები

სტუდენტებისარსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	808	234	
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი			
დოქტორანტურა			

[2]იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3]იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3[48] პუნქტში

მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	423	76	
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	272
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- პროფესორი	32
- ასოცირებული პროფესორი	41
- ასისტენტ პროფესორი	9
- ასისტენტი	3
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- აფილირებული პროფესორი	32
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	23
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**9**
- აფილირებული ასისტენტი	3
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	2
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	112
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	9+64

შენობა-ნაგებობათასაერთოფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3011კვ.მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1817კვ.მ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1194,36 კვ.მ

მოკლედაღწერეთავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგისვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 2 ივლისის N577 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ია ფანცულაია - თავმჯდომარე, ნათია ბურჯანაძე - წევრი, ანა ბაცანკალაშვილი – წევრი, ცოტნე სამადაშვილი - წევრი) შეისწავლა სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგის მიზნით. **მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, შეფასდა მხოლოდ უსდ-ს მიერ რეკომენდაციების შესრულება 60-დღიან ვადაში. შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში არ მომხდარა უსდ-ს სრული შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის ყველა სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაში.**

2019 წლის 12 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში. წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის რექტორთან, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ დარგებში რექტორის მოადგილეებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, მედიცინის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის დეკანებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, დეპარტამენტების უფროსებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსთან, საერთაშორისო, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურებთან, ბიბლიოთეკის დირექტორთან და სტუდენტებთან. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი, კერძოდ დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - სალექციო აუდიტორიები, პერსონალის სამუშაო სივრცეები, ბიბლიოთეკა, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, სტომატოლოგიური კლინიკა, სარეაბილიტაციო კლინიკა და სხვა. ვიზიტის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეხედულებების და ძირითადი მიგნებების მათთვის გაზიარების მიზნით. შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში და ჰქონდა თანამშრომლობითი ხასიათი.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისმიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _30.01.2019_____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
1.2 ○ – სამოქმედო გეგმაში გაიწეროს თითოეული მიმართულების შესაბამისი კონკრეტული ქმედებები, განისაზღვროს შესრულების სავარაუდო ვადები, აუცილებელი ფინანსური და მატერიალური რესურსები	1.2 უნივერსიტეტმა წარმოადგინა 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერა კონკრეტული ქმედებები და განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები. ***რეკომენდაცია შესრულებულია***
2.1 ○ უნივერსიტეტის სტრუქტურის განსაზღვრა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიხედვით ○ სტრუქტურებს შორის კავშირის კარგად წარმოჩენა, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გამიჯვნა და უფლებების დელეგირება. ○ ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის დანიშვნისთვის გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება.	2.1 - შემუშავდა უნივერსიტეტის სტრუქტურა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიხედვით - უნივერსიტეტის დებულებაში შევიდა ცვლილებები და განისაზღვრა სტრუქტურებს ფუნქციები და უფლებები. - შემუშავდა ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის დანიშვნის წესი და მათი მუშაბის შეფასების კითხვარი ***რეკომენდაციები შესრულებულია***
2.2 ○ ხარისხის სამსახურის მიერ მიღებული სტუდენტის, აკადემიური პერსონალისა და ○ ადმინისტრაციული პერსონალის მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავება. ○ საჭიროა არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის შეფასება, არამედ ადმინისტრაციული პერსონალის/მენეჯმენტის მართვის მუშაობის შეფასება. ○ საჭიროა ფუნქციების დელეგირება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანების დეტალიზირება და გამიჯვნა სხვა სამსახურების ფუნქციიდან (მაგალითად ინფრასტრუქტურის ან ბიბლიოთეკის შემოწმება), ასევე საჭიროა ხარისხის სამსახურში სპეციალისტების დამატება.	2.2 – შემუშავებულია უნივერსიტეტში მომუშავე პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე) და სტუდენტთა მონამცემების ანალიზის მეთოდოლოგია; – შემუშავებულია ადმინისტრაციული პერსონალი/მენეჯმენტის მართვის შეფასების წესი – ხარისხის სამსახურის ფუნციები დელეგირებულია. იმის გამო რომ ხარისხის სამსახურში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს ფუნქციების გადანაწილებულია დეკანატებზე. კონკურსი გამოცხადებულია ხარისხის სამსახურში დამატებითი პერსონალის აყვანასთან დაკავშირებით. ***რეკომენდაციები შესრულებულია***
2.3 რეკომენდებულია შემუშავებულ იქნეს პლაგიატის აღმოჩენისა და აღმოფხვრის ერთიანი მექანიზმები და შეძენილ იქნეს პლაგიატის ამომცნობი სისტემა.	2.3 უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებაზე საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციოს ქსელის კონსორციუმთან 2017“.

	რეკომენდაცია შესრულებულია
3.1 ○ უნივერსიტეტის ერთეულ პროგრამებზე არსებული სამაგალითო გამოცდილების განზოგადება მთელი უნივერსიტეტის, ყველა პროგრამის მასშტაბზე. ○ პროგრამების დაგეგმვაში შრომის ბაზრისა და გარე კონტრიბუტორების ჩართულობისფორმალიზება. ○ სტუდენტების ჩართულობა პროგრამების შემუშავებასა და განვითა–რებაში იყოს სტრუქტურირებული და მათი როლი ამ პროცესში მათთვის სათანადოდ იყოს განმარტებული. ○ სასწავლო პროგრამების დაგეგმვისას მოხდეს ინტერნაციონალიზაციის საჭიროების გათვალისწინება. ○ პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის სხვა პროგრამებთან თავსებადობის საკითხი. ○ მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო კოლაბორაცია პროგრამების ფუნდამენტური ცვლილებების პროცესში. ○ სტუდენტის დარგობრივ კომპეტენციაზე გასვლის შესაფასებლად არსებობდეს კონკრეტული ინსტრუქცია, მით უფრო თუ ამ მაჩვენებელს ეფუძნება პროგრამისწარმატებულობის შეფასება.	3.1 - ავტორიზაციის პროცესებიდან გამომდინარე ყველა პროგრამა ერთნაირ რეჟიმში მუშაობს, თუმცა მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის ამოქმედების გამო ფაკულტეტზე პროცესები დაჩქარებული და განსხვავებულია. - უნივერსიტეტის პროგრამების დაგეგმვაში ჩართულია დამსაქმებლები, გაფორმებულია ხელშეკრულებები და ხორციელდება მათი გამოკითხვა - სტუდენტები ჩართულია პროცესებში, თუმცა ჩართულობის ხარისხი გასაზრდელია; - ინტერნაცინალიზაციის საჭიროება გათვალისწინებულია; - კრედიტების აღიარების წესი შემუშავებულია მობილობის მქონე სტუდენტებისათვის; - უცხოელი კოლეგები ჩართულია პროგრამის შემუშავებაში - შემუშავებულია კომპეტენციებზე გასვლის შეფასების ინსტრუქციები; შემუშავებულია მედიცინის პროგრამისთვის კომპეტენციებეზ გასვლის რუქა; ***რეკომენდაციები შესრულებულია***
3.2 ○ მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს განახლებულ დარგობრივ მახასიათებელს. ○ უზრუნველყოფილი იყოს, რომ სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია სწავლების სხვადასხვა საფეხურების შესახებ, ასევე უნივერსიტეტის ძირითად სამუშაო დოკუმენტებში არსებული სხვა დეფინიციებისა და ფუნდამენტური საკითხების შესახებ. ○ არჩევითი კურსების შინაარსი და სილაბუსი სტუდენტებისათვის ცნობილი, ხელმისაწვდომი და სათანადოდ	3.2 - შემუშავებულია ახალი პროგრამა დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით - სტუდენტების ინფორმირება ხდება ელექტრონულად, განცხადებების დაფაზე განთავსებით და სტუდენტთა ურთიერთობის სამსახურის, ასევე დეკანატების მიერ, გახსნილია სტუდენტთა სერვის ცენტრი. - ელექტრონული მართვის სისტემაში სილაბუსები შეტანილია

განმარტებული იყოს. ○ მრავალფეროვანი და დარგის სპეციფიკაზე მორგებული სწავლა-სწავლების მეთოდები თანაბრად ცნობილი და გამოყენებული იყოს სწავლებაში ჩართული პერსონალის მიერ. ○ პროგრამების დეტალები ხელმისა–წვდომი იყოს ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის პოტენციური სტუდენტებისთვის ვებ.გვერდის საშუალებით. ○ ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების წესი იყოს დეტალიზებული, სპეციფიური და ატარებდეს საჭიროების შემთხვევაში ინსტრუქციად გამოყენებადი მზა დოკუმენტის სახეს.	- დაგეგმილია ტრეინინგები აკადემიური პერსონალისთვის თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდების შესახებ, ზოგიერთ პერსონალს უკვე გავლილი აქვს, - პროგრამები განთავსებულია ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია, სილაბუსები მხოლოდ უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის არის გახსნილი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით დღეისათვის 22 სტუდენტისათვის მიმდინარეობს ინდივიდუალური პროგრამა. **რეკომენდაციები შესრულებულია**
3.3 ○ სწავლის შედეგების შეფასების მხრივ პედაგოგების მომზადება იყოს ერთგვაროვანი, რათა სტუდენტების მოლოდინი და შესაძლებლობები არ იყოს დამოკიდებული კონკრეტულ პედაგოგზე ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში. ○ სტუდენტები სრულფასოვნად იყვნენ ინფორმირებული დარგობრივი კომპეტენციების, პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების, მათი მიღწევის გზებისა და პროგრამის აღწერილობაში არსებული შეფასების მეთოდების შესახებ. ○ სტუდენტის დარგობრივ კომპეტენციაზე გასვლის შესაფასებლად არსებობდეს კონკრეტული ინსტრუქცია, მით უფრო თუ ამ მაჩვენებელს ეფუძნება პროგრამის წარმატებულობის შეფასება. ○ არსებობდეს ფორმალური და უნიფიცირებული პროცედურა სტუდენტის საჩივრებზე რეაგირებისათვის. ○ სტუდენტები იღებდნენ კომენტარს თავიანთი ნაშრომების შესახებ უნიფიცირებული სქემით, ეს იყოს უნივერსიტეტიდან ინიცირებული პროცესი და არა ერთეული სტუდენტის აქტიურობის შედეგი.	3.3 - პერსონალისთვის ჩატარებულია ტრეინინგები, დადებულია ხელშეკრულება ტრეინინგების ჩასატარებლად, თუმცა ინტერვიუს დროს გამოირკვა, რომ ამ მიმართულებით საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა - სტუდენტთა ინფორმირება ხდება ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით; - არსებობს სტუდენტის საჩივრებზე რეაგირების პროცედურა - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს ნაშრომების შესახებ კომენტარის მიღების უნიფიცირებას. - სტუდენტები იღებენ კომენტარს თავისი ნაშრომების შესახებ, შემუშავებულია გამოცდის ჩატარების წესი **რეკომენდაციები შესრულებულია მეტწილად** **რჩება: რეკომენდებულია** სწავლა–სწავლების მეთოდების გაცნობა მეტი ინტენსიურობით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის
4.1 ○ პერსონალისთვის აფილირების	4.1 - აფილირების წესი გაიწერა და

დადებითი მხარეებისა და მისი მიმზიდველობის უკეთ განსაზღვრა და განმარტება-გაცნობა. ○ უცხოელ მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმება, მათი უფრო მეტად ჩართვა აკადემიურ აქტივობაში. ○ პერსონალის კმაყოფილების გაზრდის, ასევე უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებაზე ზრუნვის მოტივაციისა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების მიზნით მეტად მიმზიდველი გარემოს შექმნა, წახალისების, დაჯილდოვების, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის მეტი სტიმულირება.	ჩამოყალიბდა აფილირებული პროფესორთათვის დადებითი მხარეები; - მოხდა უცხოელ პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმება; - პერსონალის მოტივაციის გაზრდის მიზნით არსებობს წახალისების და დაჯილდოების სისტემა ***რეკომენდაციები შესრულებულია მეტწილად, საჭიროა აკადემიური პერსონალის მეტად ჩართვა მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებში და მათთან სათანადო კომუნიკაცია.***
4.2 ○ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება პედაგოგიური პერსონალის დატვირთვის სახეები და დატვირთვის ზღვრული მოცულობა.	4.2 - უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი სადაც განსაზღვრულია აკადემიურ პერსონალის დატვირთვის სახეები და ზღვრული მოცულობა ***რეკომენდაცია შესრულებულია***
5.1 ○ საუნივერსიტეტო სივრცეში მოქმედ მსგავს ან ურთიერთდაკავშირებულ დოკუმენტებში მოცემული დეფინიციები ერთგვაროვანი იყოს. ○ არსებობდეს სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირებისკონკრეტული პროცედურა, რაც ინფორმირების პროცესს უფრო ფორმალურს, ყველა სტუდენტისათვის უნიფიცირებულს და თანაბრად ხელმისაწვდომს გახდის. ○ სტუდენტების საჩივრების მიღებასა და რეაგირებაზე არსებობდეს ფორმალური წესი, რომელიც ცნობილი და თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისათვის, მით უფრო სტუდენტების რაოდენობის გაზრდის გეგმის გათვალისწინებით.	5.1 - უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში განხორციელდა ცვლილება და დეფინიციები განისაზღვრა ერთგვაროვნად (უნივერსიტეტის დებულება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი). – სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში; – სტუდენტების საჩივრებზე და პროცედურების შესახებ ინფორმაცია გაწერილია საგამოცდო ცენტრის დებულებაში.ინფორმაცია ატვირთულია ვებგვერდზე. ***რეკომენდაცია შესრულებულია***
5.2 ○ სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის, ასევე კარიერული და მხარდამჭერი სხვა ღონისძიებების მნიშვნელობა იყოს სათანადოდ შეფასებული და მიმართული ეფექტურ ფუნქციონირებაზე სტუდენტების ინტერესების სასარგებლოდ, რაც უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნულზე	5.2 – სტუდენტებთან ურთიერთობისათვის ფაკულტეტების დეკანატების, პროგრამის ხელმძღვანელების, შესაბამისი დეპარატმენტების გარდა შექმნილია სტუდენტთა სერვის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მათ დახმარებას ნებისმიერ საკითხში.

პასუხისმგებელი სამსახურის საქმის სპეციფიკასთან შესაბამისი კომპლექტაციით. ○ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში ყურადღება დაეთმოს სტუდენტებისათვის კარიერის განვითარების სხვადასხვა ალტერნატივების გაცნობას. ○ კარიერული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად კვლევები დაიგეგმოს უფრო მიზანმიმართულად და მოიცავდეს უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტს სრულად. ○ სტუდენტთა კომპეტენციების შეფასების, ასევე სტუდენტთა მხარდამჭერი და სხვა აქტივობების შესაფასებელი გამოკითხვები უფრო სპეციფიური, დეტალიზებული და მიზანთან შესაბამისობით დაგეგმილი იყოს.	– სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისათვის არსებობს სტუდენტთა ურთიერთობის სამსახური, რომელიც აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. – კარიერული წინსვლისათვის უსდ–მ გააფორმა მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციასთან სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების გაუმჯობესების მიზნით; – სტუდენტთა ურთიერთობის სამსახური და სხვა სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიება ფასდება სტუდენტთა კმაყოფილების შესაფასებელი კითხვარით. ***რეკომენდაციები შესრულებულია მეტწილად, მაგრამ საჭიროა*** **სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის გაფართოება და მართვის ხარისხის ამაღლება**
6.1 ○ გეომედი სასწავლო უნივერსიტეტია და შეზღუდული ფინანსების პირობებში აუცილებელია განისაზღვროს კვლევითი პრიორიტეტები. ○ საჭიროა ბიუჯეტის მეტად დეტალიზირება სამეცნიერო კვლევების კუთხით (ასემაგალითად როგორ იქნება დახარჯული და რამდენი იქნება გამოყოფილი უშუალოდ კვლევაზე, კონფერენციიის ჩატარებაზე, ლაბ–ის აღჭურვაზე და სხვა). ○ კონფერენციის მასალები მისაწვდომი იყოს ვებგვერდზე, რათა მოხდეს პლაგიარიზმის თავიდან აცილება და შედეგების დისემინაცია.	6.1 – უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია სამეცნიერო პრიორიტეტები და დაწყებულია უჯრედული ბიოლოგიის, ბიოქიმიის ლაბორატორიების დაკომპლექტება. – ბიუჯეტი ჩაშლილია და გამოყოფილია სამეცნიერო კვლევების მხარდამჭერი ფინანსები, ბიუჯეტის 2.5%. – უნივერსიტეტი კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ჟურნალში, რომელიც უნდა გახდეს საერთაშორისო, შესბამისად პლაგიარიზმის პრობლემა მოიხსნება. ***რეკომენდაციები შესრულებულია***
6.2 ○ საჭიროა დეტალური ინტერნაციონალიზაციის გეგმის შემუშავება სამეცნიერო პრიორიტეტების გათვალის–წინებით. ○ საჭიროა განისაზღვროს ფინანსური მხარდაჭერა კვლევის ინტერნაციონალი–ზაციისათვის.	6.2 – უნივერსიტეტში შემუშავებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო პრიორიტეტებსაც. – კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიზნით გაწერილია სამოქმედო გეგმაში ფინანსური მხარდაჭერა.

○ • საჭიროა განისაზღვროს კონკრეტულად როგორ მოხდება ახალგაზრდა პერსონალისმოზიდვა და დაინტერესება.	– სტუდენტთა და პერსონალის მოზიდვის მიზნით შემუშავებულია დოკუმენტი, მაგრამ ინტერვიუს დროს რაიმე სპეციფიკური ქმედებები ამ კუთხით არ განხორციელებულა **რეკომენდაციები შესრულებულია მეტწილად, მაგრამ რჩება ერთი რეკომენდაცია ახალგაზრდა პერსონალის მოზიდვის სტრატეგიასთან დაკავშირებით**
7.1 ○ სამედიცინო სკოლის სასწავლო და საგამოცდო პროცესის უზრუნველყოფისთვის საჭიროა მეტი სივრცე და ინვენტარი არსებული ლაბორატორიებისათვის, მათი ნაწილი საჭიროებს განახლებას. ○ OSCE სადგურები რაოდენობრივად გასაზრდელია. ○ არსებულ ტერიტორიებზე (ძველი ფლიგელი) სანიტარული კვანძების მოდერნიზაცია, რეაბილიტაცია.	7.1 - უნივერსიტეტში მოხდა ძველი ფლიგელის ნაწილის და ახალ ფლიგელში არსებული ლაბორატორიების გარემონტება. დაემატა ფიზიკური რეაბილიტაციის ცენტრი. - OSCE სადგურების რაოდენობა გაიზარდა და ამ ეტაპზე არის 8, თუმცა აპირებენ კიდევ გაზრდას. - ძველი ფლიგელის ტერიტორიაზე გარემონტდა სანიტარული კვანძები და ამჟამად არის თანამედროვე მდგომარეობაში. ***რეკომენდაციები შესრულებულია***
7.2 ○ ბიბლიოთეკა მოითხოვს სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების არსებობას, შესაბამისი სივრცის არსებობის პირობებში კართოტეკებით აღარ დაიტვირთება ბიბლიოთეკის ძირითადი სივრცე და საცავითაც იოლად ისარგებლებს პერსონალი. ○ გაიზარდოს ბიბლიოთეკის სამუშაო საათები სტანდარტის შესაბამისად. ○ ჩატარდეს სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა საბიბლიოთეკო რესურსების და ზოგადად ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ. ○ დაიხვეწოს ბიბლიოთეკის განახლების სისტემა. ○ მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების უკეთ გაცნობა როგორც სტუდენტებისთვის ასევე აკადემიური პერსონალისთვის.	**7.2** – ბიბლიოთეკის სივრცე გაიზარდა, მოხდა ნაწილობრივ გარემონტება და სივრცის გამოთავისუფლება; – სამუშაო საათები გაიზარდა და შეადგენს კვირაში 60 საათს. – ტარდება გამოკითხვა საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების და ბიბლიოთეკის შესახებ; – ბიბლიოთეკის დებულებაში განისაზღვრა განახლების წესი. – საბიბლიოთეკო რესურსების გაცნობა ყველა სტუდენტისა და პერსონალისათვის ***რეკომენდაციები შესრულებულია***
7.3 ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი საჭიროებს განახლებას და გამართვას, ყველა მნიშვნელოვანი ველი უნდა ფუნქციონირებდეს, მითუმეტეს ის ნაწილები რომლებიც სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის საჭირო ინფორმაციას მოიცავს.	7.3 – უნივერსიტეტის ვებგვერდის განახლება დაგეგმილია, ამ ეტაპზე ფუნქციონირებს, ხელმისაწვდომია ყველა ინფორმაცია, თუმცა სილაბუსები და გარკვეული ველები მხოლოდ პერსონალისა და სტუდენტებისათვის, დაცულია პაროლით. ***რეკომენდაციები შესრულებულია***
7.4	7.4

○ საჭიროა ბიუჯეტის დაგეგმვისას კვლევით ნაწილზე უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება, რაც მის ბიუჯეტირებას უფრო ნათელს გახდის. ○ პროგრამათა მდგრადობისათვის უმჯობესია, გარდა სტუდენტების მიერ გადახდილი გადასახადისა , გაიზარდოს გარე გრანტების წილი. ○ სკოლებს/პროგრამებს შორის ფინანსების დისტრიბუციის გამჭვირვალობა.	– სამოქმედო გეგმაში და ბიუჯეტში მოხდა კვლევაზე დახარჯული თანხის ცალკე გამოყოფა – ფინანსურ წყაროებს დაემატა შენობის გაქირავებით მიღებული შემოსავალი, მიმდინარეობს გრანტებზე მუშაობა. ძირითადად შემოსავალი სტუდენტთა გადასახადებია; – ყველა ფაკულტეტს აქვს თავისი შემოსავლების მიხედვით გაწერილი ბიუჯეტი **რეკომენდაციები შერულებულია**
საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები	
მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამებში ახალი დარგობრივი მახასიათებლების არსებობის ინდიკატორები	შემუშავებულია ახალი პროგრამა დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით **რეკომენდაცია შესრულებულია**
დაწესებულებამ შეიმუშაოს, მოდიფიცირებულ პროგრამაზე სტუდენტთა გადაყვანის მექანიზმები, რომლითაც მოხდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.	უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კრედიტების აღიარების წესი და სისტემა, რომლითაც მოხდება ძველი პროგრამიდან ახალ პროგრამაზე ინტეგრაცია. ***რეკომენდაცია შესრულებულია***

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია ახალი სწავლა–სწავლების მეთოდების გაცნობა მეტი ინტენსიურობით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის მეტად ჩართვა მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებში და მათთან სათანადო კომუნიკაცია.
- **რეკომენდებულია სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის გაფართოება, რაც მოიცავს როგორც სპეციალისტების დამატებას და მათ შორის კომპეტენციების ადექვატურ გადანაწილებას, ასევე მართვის პრიორიტეტების განსაზღვრა და მართვის ხარისხის მონიტორინგი.**
- ქართველ და უცხოელ სტუდენტთა სრულფასოვანი ინფორმირება პარტნიორ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებების და შესაძლო სტაჟირების შესახებ
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ახალგაზრდა კადრის მოზიდვის პოლიტიკა

რჩევები

- სასურველია პროგრამის შემუშავებაში სტუდენტთა მეტი ჩართულობა
- სასურველია ხარისხის სამსახურის მოვალეობების მეტად გამოკვეთა სხვა სამსახურებთან და უფლება-მოვალეობების დელეგირება.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია		☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	უსდ-ისპერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება		☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, შეფასდა მხოლოდ უსდ-ს მიერ რეკომენდაციების შესრულება 60-დღიან ვადაში. შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში არ მომხდარა უსდ-ს სრული შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის ყველა სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია ფანცულაია (თავმჯდომარე)
2. ნათია ბურჯანაძე (წევრი)
3. ანა ბაცანკალაშვილი (წევრი)
4. ცოტნე სამადაშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. **უსდ-ისმისიადასტრატეგიულიგანვითარება**

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი: N/A
მტკიცებულებები/ინდიკატორები: N/A
რეკომენდაციები: N/A
რჩევები: N/A
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიულიგანვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: რეკომენდაციის შესაბამისად უნივერსიტეტმა მოახდინა სტრატეგიული განვითარების 3 წლიანი სამოქმედო გეგმაში ცვლილებები და განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები, ასევე ყურადღება გამახვილდა კვლევის ინტერნაციონალიზაციაზე და გაიწერა მიმართულებებში ფინანსური მხარდჭერა. არსებული დოკუმენტზე და ინტერვიუზე დაყრდნობით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ

სამომქმედო გეგმა გახდა უფრო დეტალური და განისაზღვრა შესრულების გაზომვადი კრიტერიუმები, შესრულებაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, ფინანსური და მატერიალური რესურსი. უნივერსიტეტმა 3 წლიან სამოქმედო გეგმაში გაწერა კონკრეტული ქმედებები და განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები. *რეკომენდაცია შესრულებულია*
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 3 წლიანი სამოქმედო გეგმა ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. **უსდ-ისორგანიზაციულისტრუქტურადამართვა**

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციულისტრუქტურადამართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ში ვიზიტის დროს წამოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე გაირკვა, რომ გეომედის ადმინისტრაციამ შეასრულა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწერილი რეკომენდაცია უნივერსიტეტის სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიხედვით და გამიჯნა სტუქტურებს შორის კავშირი, შემუშავდა უნივერსიტეტის დებულება და თითოეული სამსახურისთვის დებულებები, სადაც აღწერილია მათი მოვალეობები.

უნივერსიტეტის აკადემიური/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესში შეტანილი ცვლილებებით დადასტურდა ადმინისტრაციული თუ სხვა პერსონალის დანიშვნისთვის შემუშავებული გამჭვირვალე კრიტერიუმები, რომელიც აღწერილია წარმოდგენილ დოკუმენტში (იხილეთ მტკიცებულებები). ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ამ ცვლილებების შესახებ ინფორმირებულები იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე დამხმარე პერსონალი.

რეკომენდაციები შესრულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს სტრუქტურა
- უსდ-ს აკადემიური/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია არ გვაქვს

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხისუზრუნველყოფისშიდამექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

წინა ვიზიტის დროს გაწერილი რეკომენდაცია ხარისხის სამსახურის მიერ მიღებული

„სტუდენტის, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგიის“ შემუშავების შესახებ დაკმაყოფილდა უნივერსიტეტის მიერ და ამის დასადასტურებლად მათ წამოადგინეს შესაბამისი დოკუმენტი „შეფასებების მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგია“, რომელიც 2019 წლის 30 აპრილის აკადამიური საბჭოს სხდომაზეა დამტკიცებული. დოკუმენტს თან ერთვის ყველა კითხვარი, რომელთაც იყენებს უნივერსიტეტი კვლევის დროს, მათ შორის ადმინისტრაციული სერვისების შეფასების კითხვარიც. სწორედ ამინისტრაციის სერვისების კვლევას ეხებოდა წინა რეკომენდაცია. დოკუმენტში გაწერილი მეთოდოლოგიით ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები წლის განმავლობაში და სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, ხდება ასევე სტუდენტთა დარგობრივი კომპეტენციების შედეგების შეფასება და სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება. დოკუმენტი საკმაოდ მოცულობითია და მასში გაწერილი ქმედებების განსახორციელებლად დიდი ადამინური რესურსია საჭირო, მაშინ როცა უნივერსიტეტში ხარისხის სამსახურს მხოლოდ ერთი თანამშრომელი, სამსახურის ხელმძღვანელი წარმოადგენს. კადრის დასამატებლად და კიდევ ერთი წინა რეკომენდაციის შესასრულებლად გამოცხადებულია ღია კონკურსი და ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. გაიმართა გასაუბრებებიც, თუმცა ჯერ შესაბამისი კადრი ვერ აიყვანეს. კონკურსი გრძელდება. ხარისხის სამსახურის მოვალეობებს არაოფიციალურად ითავსებენ ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები. შესაბამისად ხარისხის სამსახურის ფუნქციები დელეგირებულია მათზე და კადრის აყვანის შემდეგ მოხდება ფუნქცია-მოვალეობების სხვაგვარად გადანაწილება. შესაბამისად რეკომედაცია იმის შესახებ,რომ მოხდეს ხარიხის სამსახურის ამოცანების დეტალიზება და სხვა სამსახურის ფუნქციებიდან გამიჯვნა, დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაციები შესრულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შეფასების მინაცემების ანალიზის მეთოდოლოგია
- ინტერვიუს შედეგები
- ვებ გვერდზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაცია

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასურველია ხარისხის სამსახურის მოვალეობების მეტად გამოკვეთა სხვა სამსახურებთან და უფლება-მოვალეობების დელეგირება.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☒**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

წინა ვიზიტის დროს გაწეული რეკომენდაციის შემდეგ, რომელიც ეხებოდა პლაგიატის აღმოჩენისა და აღმოფხვრის ერთიანი მექანიზმების შემუშავებასა და პლაგიატის ამომცნობი სისტემის შეძენას, უსდ-მ წარმოადგინა 2019 წლის 25 მარტს „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“-თან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილ ნაშრომებს ამოწმებს პლაგიატის სისტემაზე. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პლაგიატზე მოწმდება სამაგისტრო ნაშრომები, რაც კონსორციუმსა და უნივერსიტეტს შორის მიმოწერის სახით მატერიალური რესურსების დათვალიერების შედეგად დადასტურდა.

რეკომენდაცია შესრულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

„საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“-თან გაფორმებული ხელშეკრულება

რეკომენდაციები:

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. **საგანმანათლებლოპროგრამები**

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლოპროგრამებისშემუშავებადაგანვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

ექსპერტთა პანელის მიერ განხორციელდა დოკუმენტების შესწავლა და ინტერვიურება. ამ პროცესში გამოირკვა, რომ უნივერსიტეტის მიერ მოხდა დამსაქმებლების გამოკითხვა, ასევე სტუდენტთა გამოკითხვა და მასზე დაყრდნობით პროგრამებში გარკვეული ცვლილებების შეტანა,. მაგალითად დამსაქმებლების აღნიშნავდნენ რომ რეკომენდებულია კურსდამთავრებული ფლობდეს ინგლისურ ენას და კლინიკურ უნარ–ჩვევებს უკეთესად. უსდ–მ გაითვალისწინა რჩევები და გაიზარდა ინგლისური ენის სწავლების ხანგრძლივობა. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უსდ–მ უცხოელ კონსულტანტებთან ერთად გააფორმა ხელშეკრულება, სადაც გაიწერა მათი უფლება მოვალეობები. უსდ–ს მიერ შემუშავდა კრედიტების აღიარების წესი, რომლის საფუზველზეც მოხდება სტუდენტთა მობილობა, ასევე მედიცინის ახალ პროგრამაზე ძველი პროგრამიდან გადასვლა. შემუშავდა საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა, სადაც გაიწერა პროგრამების დაგეგმვის, დამტკიცები და მასში ცვლილების შეტანის წესი. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სამეცნიერო და სასწავლო კუთხით მემორანდუმები გაფორმდა შტაინბახის, ბამბერგის, სერბეთის და ვარნის უნივერსიტეტებთან. აგრეთვე რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა კომპეტენციებზე გასვლის შეფასების ინსტრუქციები, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტის სახით (იხილეთ მტკიცებულებები).

რეკომენდაციები შესრულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- **საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა (30.04.2019, ოქმი #4)**
- **ინტერვიუს შედეგები**
- **უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები**
- **შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა**
- **კრედიტების აღიარების პროექტი**
- **ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა**

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

სასურველია პროგრამის შემუშავებაში სტუდენტთა მეტი ჩართულობა

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლოპროგრამისსტრუქტურადაშინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

უსდ–ს მიერ ჩამოყალიბებული და დამტკიცებული იქნა მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა ახალი დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს ახსნილი, იყო რომ პირველ სესმესტრში სწავლობენ სიცოცხლის შემსაწავლელ მეცნიერებებს ნაწილობრივ ინტეგრირებულად ანუ ბლოკის სახით. მაგალითად შუალედური გამოცდები ტარდება ცალ–ცალკე. როცა მოდულების შემთხვევაში შუალედური და საბოლოო გამოცდაც ინტეგრირებულია. შედგენლია კომპეტენციათა და დარგობრივი უნარების მიღწევისა და შეფასების რუკა.

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის პროგრამების სტრუქტურის, სილაბუსების და სხვა საკითხებზე სტუდენტების ინფორმირება ხდება ელექტრონულად, განცხადებების და სტუდენტთა ურთიერთობის სამსახურის, ასევე დეკანატების მიერ, სტუდენტთა სერვის ცენტრი გახსნილია. ელექტრონული მართვის სისტემაში შეტანილია ყველა სილაბუსი, რომელთანაც წვდომა აქვს სტუდენტს.

უნივერსიტეტში გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა საჭიროების შემთხვევაში, რომელიც გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით დღეისათვის 22 სტუდენტისათვის მიმდინარეობს ინდივიდუალური პროგრამა.

თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდების ასათვისებლად ხელშეკრულება დადებულია საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრთან (იხილეთ მტკიცებულებები). როგორც ინტერვიუდან ირკვევა პერსონალის ნაწილს უკვე გავლილი აქვს ტრეინინგი . ასევე უახლოეს მომავალში გარკვეული პერიოდულობით მოხდება ყველა აკადემიური პერსონალის დატრენინგება.

რეკომენდაციები შესრულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მემორანდუმი „ საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრთან“
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (თავი XII)
- ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია
  (დარგობრივი კომპეტენციები, პროგრამისა და სწავლის შედეგები, მიღწევის გზები, შეფასების მეთოდები)
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების დოკუმენტი (პუნქტი 3, შეფასებების მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგია).
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა
- სასწავლო გეგმა, კურიკულუმი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლიაგაითვალისწინოსსაქმიანობისგასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

უნივერსიტეტში მიმდინარეობს სწავლის შედეგების შეფასებისა და მათი სასწავლო პროგრამებთან ადაპტირების პროცესი, რომლის შესახებ სასწავლო პროცესში ჩართული პედაგოგების ნაწილი ფლობს ამომწურავ და სრულფასოვან ინფორმაციას, ხოლო მეორე ნაწილის ცოდნა ამის შესახებ ისევ მინიმალურია. უნივერსიტეტის წერილში აღნიშნულია 2019 წლის 24 აპრილის შემდეგ დაგეგმილი ტრეინინგი („საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრთან“ გამორმებული მემორანდუმის თანახმად, რომელიც ყველა აკადემიური პერსონალის სავალდებულო გადამზადებას მოიცავს, თუმცა ინტერვიუებიდან ირკვევა რომ პედაგოგების ცნობიერება ამ საკითხზე, მოცემული მომენტისთვის, კვლავ მეტ–ნაკლებად არაერთგვაროვანია.

ამასთან, ინტერვიუს თანახმად როგორც ქართველ ასევე უცხოელ სტუდენტებს განახლებული ვებგვერდის სასწავლო მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მარტივად აქვთ წვდომა ინფორმაციაზე დარგობრივი კომპეტენციების, პროგრამის და კურსის სწავლის შედეგების, მათი მიღწევის გზების და პროგრამის აღწერილობაში არსებული შეფასების მეთოდების შესახებ. გარდა ამისა ისინი ამ საკითხებზე დამატებით ინფორმაციას ხშირად იღებენ ფაკულტეტის დეკანებისგან.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტის დარგობივ კომპეტენციაზე გასვლის შესაფასებლად კონკრეტული ინსტრუქცია რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს მიღებული შეფასების მკაფიო და დეტალური ანალიზი. ინსტრუქცია წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების დოკუმენტში (პუნქტი 3- შეფასებების მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგია).

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალთან საუბრის შემდეგ ირკვევა რომ ვერც ერთი მათგანი იხსენებს შემთხვევას საჩივართან კავშირში, თუმცა მათი უმრავლესობა სრულადაა ინფორმირებული საჭიროების შემთვევაში მისაღები ზომების შესახებ. საჩივრის წარმოებისა და

მასზე რეაგირებისთვის გაწერილია კონკრეტული პროცედურა, რომელიც დოკუმენტურად წარმოდგენილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მეთერთმეტე თავი, პუნქტი რვა). უნივერსიტეტმა მიიღო რეკომენდაცია სტუდენტთა შეფასების კომენტირების შესახებ, რომელიც შესრულებულია ნაწილობრივად. აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი აღნიშნავს რომ რეგულარულად აძლევს ვერბალურ შეფასებას დადებითი, უარყოფითი მხარეებისა და სასურველი რჩევების გათვალისწინებით თითოეულ სტუდენტს, მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით, მეორე ნაწილი კი აღნიშნულს ისევ მხოლოდ სტუდენტთა სურვილის/ მოთხოვნის შემდგომ აკეთებს. **რეკომენდაციების უმრავლესობა შესრულებულია, თუმცა რჩება ერთი რეკომენდაცია**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • მემორანდუმი „ საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრთან“ • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (თავი XI , პუნქტი 8) • ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია (დარგობრივი კომპეტენციები, პროგრამისა და სწავლის შედეგები, მიღწევის გზები, შეფასების მეთოდები) • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების დოკუმენტი (პუნქტი 3, შეფასებების მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგია). • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია ახალი სწავლა–სწავლების მეთოდების გაცნობა მეტი ინტენსიურობით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლიაგაითვალისწინოსსაქმიანობისგასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. **უსდ-ისპერსონალი**

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალისმართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წინა ვიზიტის დროს გაწერილი რეკომენდაციების საფუძველზე უსდ-მ წარმოადგინა 2019 წლის 30 აპრილს აკადემიურ საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული ცვლილება „აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების სისტემის“ დოკუმენტში, განახლებული 3 წლიანი გეგმა და ბიუჯეტი. დოკუმენტების მიხედვით აფილირებული პროფესორების სამეცნიერო მუშაობა ფასდება 100 ქულით და ამ საქმიანობის წახალისებისთვის გაიცემა პრემიები 2000, 1000 და 500 ლარის ოდენობით. ეს თანმები ასახულია უნივერსტეტის სამწლიან გეგმაში და ბიუჯეტში. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალს სმენია მათი მომავალი ბენეფიტების შესახებ,თუმცა დაზუსტებით არ იციან რა უნდა შეიცვალოს მათ ხელშეკრულებებში. გარდა ამისა უნივერსიტეტმა წამოადგინა ასევე უცხოელ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე. რაც შეეხება პერსონალის კმაყოფილების გაზრდისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების მიზნით მიმზიდველი გარემოს შექმნას, უსდ-მ წარმოადგინა გერმანიის ქალაქ შტაინბაის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტებს შორის ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ხელშემწყობ აქტივობას. გარდა ამისა 2019 წლის ივნისში გაფორმდა ახალი მემორანდუმი გერმანიის ქალაქ ბამბერგის უნივერსიტეტთან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გაცვლვით პროგრამაში ჩართვას და მათ სამომავლოდ ხელშეწყობას. როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა უნივერსიტეტი გეომედი დარეგისტრირებულია ერასმუს პლუსში, თუმცა მობილობა ჯერ არ გამხორციელებულა. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს რთული იყო იმის გამორკვევა, არიან თუ არა ისინი ინფორმირებულები ზემოთ ხსენებული ცვლილებების შესახებ. ჯერ არ გაფორმებულა ახალი ხელშეკრულებები და ამიტომ არ იცნობენ ზუსტ დეტალებს. ვერ იხსენებენ, როდის შეაფასეს მათ უნივერსიტეტში ადმინისტრაციული სერვისები,თუმცა იციან რომ არსებობს მსგავსი კითხვარი. არ იცნობენ დეტალებს, რა ცვლილებები შევიდა მაგალითად მედიცინის პროგრამაში და როგორ მოერგო ის ახალ დარგობრივ მახასიათებლებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უსდ-მ მართალია გაითვალსწინა სტანდარტის კომპონენტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები, თუმცა არ შემდგარა სათანადო კომუნიკაცია ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს შორის. **რეკომენდაციები შერულებულია**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • „აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების სისტემა • უნივერსიტეტის ბიუჯეტი • უნივერსიტეტის 3 წლიანი გეგმა • უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები • უცხოელ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის მეტად ჩართვა მიმდინარე საგანმანათლებლო

პროცესებში და მათთან სათანადო კომუნიკაცია.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისრაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი: უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტი „აკადემიური პერსონალის საქმიანობა და დატვირთვის ზღვრული რაოდენობა“, სადაც გაწერილია აფილირებული პერსონალის დატვირთვა. ასევე აკადემიური–აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია აფილირებული პერსონალის ბენეფიტები და წახალისება. ასევე სამუშაო კვირაში სრული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40საათს. *რეკომენდაცია შესრულებულია*
მტკიცებულებები/ინდიკატორები: **„აკადემიური პერსონალის საქმიანობა და დატვირთვის ზღვრული რაოდენობა“ (30.04.2019)** **უნივერსიტეტის დებულება** **აკადემიური–აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების სისტემა** **ინტერვიუს შედეგები**
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტებიდამათიმხარდაჭერისღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი: უუნივერსიტეტმა ორ სხვადასხვა დოკუმენტში (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და უნივერსიტეტის დებულება) „სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობების“ შესახებ არსებული ხარვეზი გამოასწორა. შესაბამისად სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობები ცხადად და მკაფიოდ აღწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ხოლო უნივერსიტეტის დებულებიდან ამოღებულია ის ნაწილი რომელიც ბუნდოვან განმარტებას იძლეოდა. არსებულ დოკუმენტებში განხორციელდა ცვლილება და დეფინიციები განისაზღვრა ერთგვაროვნად (უნივერსიტეტის დებულება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი). სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში; უფლება-მოვალეობების გაცნობისთვის არსებობს უნიფიცირებული პროცედურა, რომელიც გულისხმობს ფაკულტეტის დეკანებისა და ონლაინ რესურსის გზით აღნიშნულ საკითხზე სტუდენთა ცნობიერების ამაღლებას. ინტერვიუს თანახმად, სტუდენტები საკუთარ უფლება-მოვალეობებზე ინფორმაციას ეცნობიან როგორც ვებგვერდის ასევე უნივერსიტეტთან გაფორმებული კონტრაქტის გზით, რაც თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის. სტუდენტების საჩივრებზე და პროცედურების შესახებ ინფორმაცია გაწერილია საგამოცდო ცენტრის დებულებაში. ინფორმაცია ატვირთულია ვებგვერდზე. უნივერსიტეტში არსებობს გასაჩივრების წესი რომელიც დასტურდება დოკუმენტურად და მოიცავს პროცესის დეტალურ აღწერას, ასევე ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთის ვებგვერდის საშუალებით. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მოცემულ მომენტამდე არ ახსენდებათ გასაჩივრების არცერთი შემთხვევა. ინტერვიუზე გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ამომწურავ ინფორმაციას ფლობს იმ საფეხურების შესახებ ,რომელსაც ,საჭიროების შემთხვევაში, დაწერილი საჩივარი გაივლის. რეკომენდაცია **შესრულებულია**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის დებულება (თავი V, სტუდენტი, მუხლი 22 ; მუხლი 23)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (თავი XI , ქვეთავი 8)
- ვებ გვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლიაგაითვალისწინოსსაქმიანობისგასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთამხარდაჭერისღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტმა ექსპერტთა ვიზიტის დროს მიიღო რიგი რეკომენდაციები, მონიტორინგის ფარგლებში კი ცხადი გახდა, რომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით, გათვალისწინებულია მიღებული რეკომენდაციები, თუმცა არა საკმარისად იმისთვის, რომ სრულყოფილად ჩაითვალოს სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმარება და შემდგომ მისი პერფორმანსი.

უნივერსისტემა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა დამსაქმებლებისა და პარტნიორი კლინიკების მოძიების თვალსაზრისით, ჩაერთა სახელმწიფო სტაჟირების პროგრამაში, გაფორმდა კონტრაქტები, რაც დოკუმენტურად დადასტურებულია. სტუდენტთა კომპეტენციები, ასევე სტუდენტთა მხარდამჭერი და სხვა აქტივობები ფასდება სტუდენტთა კმაყოფილების შესაფასებელი კითხვარებით. წარმოადგენილია სტუდენტების, კლინიკისა და

დამსაქმებლებისთვის განკუთვნილი კითხვარები და ა.შ . ჩატარდა კვლევა და გამოიკვეთა რეკომენდაციები როგორც უცხოელი ასევე ქართველი სტუდენტების მიმართ ქართული და ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების , ასევე პრაქტიკული უნარ ჩვევების გაუმჯობესების შესახებ . ამის საპასუხოდ უნივერსიტეტმა მედიცინის ფაკულტეტს დაუმატა თავისუფალი 10 კრედიტი რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნება ქართული ენის საგნის გავლის შედეგად. მიუხედავად ამისა გამოიკვეთა პრობლემა სტუდენტების ინფორმირების საკითხში. ინტერვიუს დროს აღინიშნა რომ თვითმმართველობა და ჯგუფხელები მნიშვნელოვანი რგოლი არიან ინფორმაციის მიწოდების მაგრამ რეალურად არ მოწმდება თუ რამდენად მიდის სტუდენტებამდე სიახლე. ქართველი და უცხოელი სტუდენტების ნაწილი არ იცნობს დეტალურად უნივერსიტეტის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს დამსაქმებელ/ პარტნიორ კლინიკებთან, ასევე არ იციან თუ რა მიმართულებით განხორციელდება ესა თუ ის სტაჟირება. უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულებები რამდენიმე ევროპულ უნივერსიტეტთან, მათ შორის გერმანიის, სერბეთის , ბულგარეთის და ა.შ. . ასევე დაამყარა ერასმუსის გაცვლით პროგრამასთან კავშირი თუმცა წასული სტუდენტების სახით ამ პროგრამის ფუნქციონირების ინდიკატორები არ არსებობს.

- უნივერსიტეტის შენობაში გაიხსნა სერვის ცენტრი, რომელის თანამშრომლებიც შეეცდებიან სტუდენტებს მიაწოდონ მათთვის სასურველი ნებისმიერი სერვისი, უზრუნველყონ ისინი ადექვატური და ზუსტი ინფორმაციით, ამადროულად ითანამშრომლონ უნივერსიტეტის დეკანებთან. სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური უზრუნველყოფს სპორტული აქტივობების (რეგბი, კრიკეტი) და საქველმოქმედო ღონისძიებების(სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსება და ა.შ) წარმატებულ ფუნქციონირებს, თუმცა მეორეს მხრივ რჩება პუნქტები რომელიც განვითარებას საჭიროებს. ინტერვიუს დროს აღმოჩნდა რომ რიგ საკითხებში (მაგ. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა) შესასრულებელ სამუშაოს დეკანები ითავსებენ.

სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურს, რომელიც მხოლოდ 1 ადამიანისგანაა დაკომპლექტებული, ესაჭიროება ძირეული კვლევის ჩატარება, მათი ანალიზი და შემდგომ აღნიშნული ინსტანციის პრიორიტეტების განსაზღვრა გაწერილი გეგმის განხორციელება ხოლო ფინალური ეტაპი კი უნივერსიტეტის ხარისხის კონტროლის მიერ მიღებული შედეგების ანალიზსა და მათზე ადევატური რეაგირებას მოიცავს. ამაზე დაყრდნობით უმჯობესია თუ მოხდება სამუშაოს სხვა ახალ კადრებზე გადანაწილება და კომპეტენციების დაყოფა კვალიფიკაციის შესაბამისად რათა გაუმჯობესდეს სტუდენთებთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციონირება.

რეკომენდაციები მეტწილად შესრულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს სასწავლო გეომედის დებულება
- შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის დებულება
- დაგეგმილი და განხორციელებული სტუდენტური აქტივობები
- კონტრაქტები უცხოურ უნივერსიტეტებთან
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კლინიკა „ევექსთან„
- სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები
- კითხვარების ანალიზი

- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის გაფართოება, რაც მოიცავს როგორც სპეციალისტების დამატებას და მათ შორის კომპეტენციების ადექვატურ გადანაწილებას, ასევე მართვის პრიორიტეტების განსაზღვრა და მართვის ხარისხის მონიტორინგი.

რეკომენდებულია ქართველ და უცხოელ სტუდენტთა სრულფასოვანი ინფორმირება პარტნიორ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებების და შესაძლო სტაჟირების შესახებ

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლიაგაითვალისწინოსსაქმიანობისგასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარებაან/დასხვაშემოქმედებითისაქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითისაქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებსკვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

უნივერსიტეტი გეომედი სასწავლო უნივერსიტეტია თუმცა მათ მიერვე აღიარებულია სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაცია, რომლისთვისაც გამოყოფილია ბიუჯეტიდან 2.5%, რეკომენდაციების გათვალისწინებით ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ სამეცნიერო პრიორიტეტები ჩამოყალიბდა და განისაზღვრა ერთი მიმართულება მსხვილი „ჯანდაცვის თანამედროვე პრობლემები“. ამ ძირითადი პრიორიტეის ქვეშ გამოკვეთილი აქვთ კვლევები ნეიროდეგენერაციული დაავადებების, ახალი სამკურნალო პრეპარატების შემუსავების და უჯრედული კულტურების მოდელებზე გამოცდის. რისთვისაც დადებულია ხელშეკრულებების უცხოურ უნივერსიტეტებთან. რამდენადც კვლევის ბიუჯეტი მწირია კვლევები ძირთადად ბიზნეს ორიენტირებულია და უფრო გამოყენებითი ხასიათისაა. არსებული დაფინანსები ფარგლებში უკვე შეკვეთილია აპარატურა, რომლის ნაწილი (–80მაცივრები) ჩამოტანილია და მიმდინარეობს უჯრედული ბიოლოგიის, ბიოქიმიის ლაბორატორიების დაკომპლექტება.

დაგეგმილია უნივერსიტეტის მიერ კვარტალური ჟურნალის საერთაშორისო დონიზე აღიარების პროცესის დაწყება და მასში არამარტო კონფერენციის მასალების არამედ პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომების გამოქვეყნება. **რეკომენდაციები შერულებულია**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N5 • ბიუჯეტი • ჟურნალი (ბეჭდური ვერსია)
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლიაგაითვალისწინოსსაქმიანობისგასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევისმხარდაჭერადაინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი: უნივერსიტეტის მოადგილემ სამეცნიერო დარგში განმარტა, 2019 წლის 30 მაისის აკადემიური საბჭოს სხომაზე განიხილეს და დაამტკიცეს უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები, რაც დადასტურდა ზემოთ ხსენებული ოქმითაც. ეს პრიორიტეტი არის „ჯანდაცვის თანამედროვე პრობლემები“. შესაბამისად გაწერილი რეკომენდაცია კვლევითი პრიორიტეტის განსაზღვრის შესახებ, შესრულებულია. სამეცნიერო კვლევებისთვის უნივერსიტეტმა ბიუჯეტში ცალკე გამოყო თანხა, რაც მთელი ოდენობის 2.5%-ს შეადგენს. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ამ თანხებშია გათვალისწინებული კვლევის ინტერნაციონალიზაციისთვის საჭირო თანხები. უნივერსიტეტში შემუშავებულია კვლევის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, სადაც გაწერილია ინტერნაციონალიზაციის გეგმის სამეცნიერო პრიორიტეტები. ფინანსური კუთხით კვლევის ინტერნაციონალიზაციაზე გამოყოფილია თანხები, რომელიც წარმოდგენილია საქმომედო გეგმაში.

რაც შეეხება ახალგაზრდა პერსონალის მოზიდვის ცალკე გამოყოფილი პოლიტიკა უნივერსიტეტს არ გააჩნია. როგორც ინტერვიუებდან ირკვევა, ისინი ახალ თანამშრომლებს მხოლოდ კონკურსის საფუძველზე ირჩევენ და თვლიან, რომ კონკურსი ყველაზე მეტად წარმოაჩენს ღირსეულებს. **რეკომენდაციები ფაქტიურად შესრულებულია, მაგრამ რჩება რეკომენდაცია ახალგაზრდა პერსონალის მოზიდვასთან დაკავშირებით**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შპს სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა • აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N5 • სამეცნიერო შრომათა კრებულის არედაქციო პოლიტიკა • ბიუჯეტი
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ახალგაზრდა კადრის მოზიდვის პოლიტიკა
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითისაქმიანობისშეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი: N/A
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისიმტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუსშედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლიაგაითვალისწინოსსაქმიანობისგასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.მატერიალური, საინფორმაციოდაფინანსურირესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალურირესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი: უნივერსიტეტში მონიტორინგის პროცესებს შორის მოხდა ძველი ფლიგელის მეტწილად გარემონტება, დაემატა ახალი აუდიტორიები და სასწავლო სივრცეები. ახალ ფლიგელში გარემონტდა და მოდერნიზდა არსებული ლაბორატორიები, მიმდინარე პერიოდში უნივერსიტეტში აქტიური სარემონტო პროცესია. დაემატა ფიზიკური რეაბილიტაციის ცენტრი, რომლის აღჭურვილობის მეტი წილი დამონტაჟებულია და მზად არის ფუნქციონირებისთვის. OSCE სადგურების რაოდენობა გაიზარდა 8–მდე და გეგმის მიხედვით სასწავლო წლის დასაწყისისთვის მათი რიცხვი იქნება 12. ძველი ფლიგელის ტერიტორიაზე გარემონტდა და მოდერნიზდა სანიტარული კვანძები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. **რეკომენდაციები შერულებულია**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ინტერვიუს და ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკორესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

ბიბლიოთეკის სივრცე გაიზარდა, ნაწილობრივ შერემონტდა, მოხდა ბიბლიოთეკისათვის საჭირო სივრცეების, მათ შორის წიგნსაცავის მოდერნიზება. ბიბლიოთეკას დაემატა სამკითხველო სივრცე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლების სისტემა მნიშვნელოვნად მოწესრიგდა და რეგულირდება ბიბლიოთეკის დებულების მიხედვით სათანადო წესით. ბიბლიოთეკის პერსონალი ინფორმირებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებზე და მათ შორის ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენების სპეციფიკაზე. სამუშაო საათები განსაზღვრულია კვირაში 60 საათით. ტარდება გამოკითხვა საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების და ბიბლიოთეკის შესახებ და შესაბამისად მისი გაცნობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

რეკომენდაციების შესრულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ბიბლიოთეკის სამსახურის დებულება;
უნივერსიტეტის დებულება
ინტერვიუს და ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციორესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

უნივერსიტეტეტის ვებ გვერდზე ხელმისაწვდომია მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია (მაგ. სტრუქტურა; სტრატეგიული განვითარების გეგმა ; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ; პროგრამების აღწერა; მისია; იურიდიული ცნობარი;პროგრამების მოკლე აღწერილობა ; ინფორმაცია აკადემიურ პერსონალზე; ადმინისტრაციაზე და ა.შ.) როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. ზოგიერთი დოკუმენტის ხელმისაწვდომობა პაროლით განისაზღვრება (მაგ. ფაკულტეტების სილაბუსები, უნივერსიტეტის ხარისხის განვითარება; წესდება). ვებ გვერდზე ყველა მნიშვნელოვანი ველი ფუნქციონირებს, მათ შორის ის ნაწილები რომლებიც სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის საჭირო ინფორმაციას ატარებს. ფუნქციონირებს ასევე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი .

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

უნივერსისტეტის ვებ გვერდი (საჯარო დოკუმენტაცია; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა)

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია,რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

სასურველია ვებ გვერდზე ინფორმაციის განახლება მოხდეს რეგულარულად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსურირესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

რეკომენდაციის მიხედვით მოხდა სამოქმედო გეგმაში და ბიუჯეტში კვლევისთვის გამოყოფილი თანხის გამიჯვნა ბიბლიოთეკის ფინანსური რესურსისგან და განისაზღვრა 2,5 პროცენტით, რაც კვლევითი კომპონენტის საბაზისო ბიუჯეტია. ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ მომავლისათვის გათვალისწინებულია და მომზადებულია სხვადასხვა სამეცნიერო პროექტების გრანტების სახით. დადებულია ხელშკრულება და მემორანდუმების უცხოურ უნივერსიტეტებთან. კვლევის სტრატეგიიდან გამომდინარე დაგეგმილია ორიენტირებული კვლევების განხორცილება და ბიუჯეტში სახსრების დივერსიფიცირება.

გარე წყაროებიდან დაემატა უნივერსიტეტის მფლობელის საკუთრებაში არსებული სხვა შენობის გაქირავებით მიღებული შემოსავალი, მიმდინარეობს გრანტებზე მუშაობა. ყველა ფაკულტეტისთვის გაწერილია საკუთარი ბიუჯეტი შემოსავლების მიხედვით.

რეკომენდაციები შერულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

უნივერსიტეტის ბიუჯეტი,
ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი№1: **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი**

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციისკოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	დიპლომირებული სტომატოლიგი (ერთსაფეხურიანი)	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი (090201)	300	აკრედიტებული	
2	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბაკალავრი (02)	240	აკრედიტებული	
3	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	მაგისტრი (02)	180	აკრედიტებული	
4	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ქართული	ბაკალავრი (0906)	240	აკრედიტებული	
5	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ქართული	მაგისტრი (0906)	180	აკრედიტებული	
6	დიპლომირებული მედიკოსი (ერთსაფეხურიანი)	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი (090101)	360	აკრედიტებული	
7	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	NULL		NULL	
8	ფინანსები	ქართული	ბაკალავრი	240	აკრედიტებუ	

			(0204)		ᲚᲝ	